

სამედიცინო პერსონალის მოტივაციაზე მოქმედი ფაქტორები

მურაჩაშვილი თამარი
ირემაშვილი გიორგი
ჩიხაშვილი ოლეგი

ჯგუფი N 16

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის ფაკულტეტზე
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების
შესაბამისად*

პროექტის ხელმძღვანელი:
ქეთევან გოგინაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2016

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

თამარ მურაჩაშვილი

გიორგი ირემაშვილი

ოლეგი ჩიხაშვილი

თარიღი: 17.06.2016

აბსტრაქტი

სამედიცინო პერსონალის სწორი მოტივირება, სტრესული და დემოტივაციური ფაქტორების მოხსნა და კარგი სამუშაო გარემოს შექმნა ჯანდაცვის მენეჯმენტის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა, რომლის საშუალებითაც მიიღწევა პერსონალის მაღალი პროდუქტიულობა და შესრულებული სამუშაოს სარგებელი, ეს ყველაფერი კი დადებითად მოქმედებს ზოგადად ჯანდაცვის სფეროს ეფექტიანობაზე, პაციენტთა კმაყოფილებაზე და სამედიცინო მომსახურების ხარისხზე. კვლევის განხორციელებისთვის გამოყენებულ იქნა კითხვარი რაოდენობრივი და თვისობრივ კითხვათა კომბინაციით, რომლის შედეგისასაც გათვალისწინებული იყო მოტივაციური თეორიები და სხვა ქვეყნებში ჩატარებული კვლევების გამოცდილება. კვლევა ჩატარდა ორ ქვეყანაში ერთდროულად (საქართველო, გერმანია). აგრეთვე ჩატარდა მოკლე ინტერვიუებზე კლინიკების მენეჯერებთან. ჩატარებული კვლევის შედეგად გამოვლინდა ძირითადი მოტივატორები და დემოტივატორები სამედიცინო პერსონალისთვის, რომლებსაც შეუძლიათ გავლენა იქონიონ მათი მუშაობის ხარისხზე, გააუმჯობესონ ან პირიქით, გააუარესონ იგი. შესაბამისად, კლინიკის მაღალი რგოლის მენეჯერებს შეუძლიათ მიღებული შედეგების მიხედვით მოახდინონ მათდამი დაქვემდებარებული პერსონალის მოტივირება, გააუმჯობესონ მათი სამუშაო განწყობა, და შესრულებული სამუშაოს ხარისხი, ეს კი თავის მხრივ დადებითად აისახება მათი კლინიკის მუშაობაზე, გაიზრდება პერსონალის და პაციენტთა კმაყოფილება და კლინიკის იმიჯი. წარმატებული კლინიკები და კმაყოფილი პაციენტები კი გაზრდის ზოგადად ჯანდაცვის სისტემის ეფექტურობას და მკურნალობის ხარისხს.

ძირითადი საძიებო სიტყვები: სამედიცინო პერსონალი, მოტივატორები, დემოტივატორები, ადამიანური რესურსების მენეჯმენტი ჯანდაცვაში.